თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №8123414

ნომერი: AR11164700

თარიღი : 09.10.2026

გაცემის თარიღი : 15.10.2026

გაცნობის თარიღი : 15.10.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, კუკური გოგიაშვილის I შესახვევი, N 14;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პაატა ჭავჭანიძე პ/ნ 01024018748
- თბილისი თ.იოსებიძის ქ. N 71ბ ბ. 113

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 24 ივლისის №8018454 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 9 ოქტომბერს №AR11164700 განცხადებით მომართა პაატა ჭავჭანიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2026 წლის 24

ივლისის №8018454 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2026 წლის 24 ივლისის №8018454 ბრძანებით, №01.72.14.009.613 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
სამსახურის 2026 წლის 25 სექტემბრის №8098120 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2026 წლის 24 ივლისის №8018454 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. ამასთან, სამსახურის 2026 წლის 24 ივლისის №8018454 ბრძანებით შეთანხმებული -3.86, +0.00, +3.30, +6.60, +36,30 და +43,60 ნიშნულების არქიტექტურული გეგმები (1,2,3,4,13,15 გვერდები) ჩანაცვლდა 2026 წლის 18 სექტემბრის №AR11161637 განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2026 წლის 24 ივლისის №8018454 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, დამხმარე ფართობი 82.52 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 84.52 კვ.მ, საერთო ფართობი 14447.2 კვ.მ-ის ნაცვლად - 14449.2 კვ.მ. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ფართობები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, გეგმარება არ იცვლება, ხდება მხოლოდ გეგმებზე ფართობების დაზუსტება. ამასთან, სამსახურმა დაადგინა რომ საერთო ფართობი 14447.2 კვ.მ-ის ნაცვლად იქნება 14449.24
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ– სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 24 ივლისის №8018454 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დამხმარე ფართობად დაფიქსირდეს 84.52 კვ.მ, საერთო ფართობად - 14449.24 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 24 ივლისის №8018454 ბრძანებით შეთანხმებული (სამსახურის 2026 წლის 25 სექტემბრის №8098120 ბრძანებით ჩანაცვლებული) -3.86 და +0.00 ნიშნულების არქიტექტურული გეგმები (1-ლი და მე-2 გვერდები) ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 24 ივლისის №8018454 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 24 ივლისის №8018454 და 2026 წლის 25 სექტემბრის №8098120 ბრძანებებთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.